**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება**
**სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის**
**პროცედურის დაწყების შესახებ**

ოქმი 9 | 10 აპრილი 2018 წელი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (09-01-08/60, 04.04.2018)**

**გამარტივებული წესით განხილვა**

დასახელება

| *უმაღლესი საბჭოს წევრები:* *დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია* | *უმაღლესი საბჭოს წევრები:* *დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია* |
|---|---|
| ავტორი | ინიციატორი |

*საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია*

წამყვანი კომისია

| 04.04.2018 წელი | წამყვანი კომისია: 16.04.2018 | საგაზაფხულო სესია |
|---|---|---|
| შემოსვლის თარიღი | საკომისიო მოსმენის ვადა | სხდომაზე განხილვის თარიღი |

კომისია რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

**საქართველო**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**უმაღლესი საბჭოს წევრი**

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 76-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-80 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის $93^1$ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავთ წინადადებით, რომ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის უმაღლეს საბჭოში განხილვა და მიღება მოხდეს გამარტივებული წესით – ერთი მოსმენით.

გთხოვთ, რეგლამენტის პროექტს მისცეთ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი: -4- ფურცელი

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

ნინო ჩხეტია

09-01-08/60
4. 04. 2018
5 ფურცელი

<u>**პროექტი**</u>

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

# რეგლამენტი

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის (გაზეთი „აჭარა“, №57, 31.03.2005) 148-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის ძალაში შესვლისთანავე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტის და კომიტეტის აპარატის უფლებამოსილებას იძენს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის (№68-უ.ს.რ.ს.; 21.03.2018) ამოქმედების დროისათვის მოქმედი უმაღლესი საბჭოს კომისია და კომისიის აპარატი, ხოლო კომისიის თავმჯდომარე – კომიტეტის თავმჯდომარის უფლებამოსილებას დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.“.

**მუხლი 2.** ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2018 წლის
№

# განმარტებითი ბარათი
# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

**ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:**

**ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი;**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ 2018 წლის 21 მარტს მიღებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც საქართველოს ორგანული კანონის პროექტთან – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის დამტკიცების თაობაზე“ ერთად დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

მიღებული კონსტიტუციური კანონის შესაბამისად, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლის მიზნით უმაღლეს საბჭოში იქმნება კომიტეტები.

აღნიშნული კანსტიტუციური კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულია, რომ კონსტიტუციური კანონის ამოქმედებისთანავე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტის უფლებამოსილებას იძენს კანონის ამოქმედების დროისათვის მოქმედი უმაღლესი საბჭოს კომისია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის გარდამავალ დებულებებში შესაბამისი პუნქტის დამატება, რომელიც მოაწესრიგებს კომისიის სახელწოდების ცვლილებიდან გამომდინარე სამართლებრივ საკითხებს.

**ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი;**

პროექტის მიზანია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიის სახელწოდების ცვლილებიდან გამომდინარე, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესაბამისი რეგულაციის არსებობა, რაც მომავალში გამორიცხავს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ სამართლებრივ კოლიზიას ან/და ვაკუუმს.

**ა.გ) რეგლამენტის პროექტის არსი;**

პროექტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 148-ე მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმადაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის ძალაში შესვლისთანავე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტის და კომიტეტის აპარატის უფლებამოსილებას შეიძენს 2018 წლის 21 მარტს უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული აჭრის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის ამოქმედების დროისათვის მოქმედი უმაღლესი საბჭოს კომისია და კომისიის აპარატი, ხოლო კომისიის თავმჯდომარე – კომიტეტის თავმჯდომარის უფლებამოსილებას დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

**ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;**

რეგლამენტის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

**ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;**

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;**

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;**

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება;**

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

**გ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში;**

აღნიშნული რეგლამენტის პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**გ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ;**

რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ) რეგლამენტის პროექტის ავტორი.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები – დავით გაბაიძე და ნინო ჩხეტია.

**ე) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები – დავით გაბაიძე და ნინო ჩხეტია.

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტით შედის ცვლილება

**მუხლი 148**

1. ეს რეგლამენტი, გარდა მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადების, მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-8 მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების, 39-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 104-ე მუხლის მე-14 პუნქტი, ამოქმედდეს 2005 წლის 1 აპრილიდან.

2. ამ რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადების, მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-8 მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების, 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 104-ე მუხლის მე-14 პუნქტი, ამოქმედდეს 2005 წლის 1 სექტემბრიდან.

3. ამ რეგლამენტის მე-12 და მე-13 მუხლები, უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის, ამოქმედდეს საქართველოს შესაბამის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემდეგ.

3[1]. ამოღებულია (30.04.2008. №292)

4. ამოღებულია. (10.08.2010. №84)

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

04/04/2018
N 812

812-09-02-11-3-201804041510

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის
საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ბერიძეს

**დ ა ს კ ვ ნ ა**

**„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით (რეგ N 09-01-08/60. 4.04.2018 წ.)**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი პროექტი შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

გელა ღოღობერიძე

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი